

# მწყემსი



ზე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი  
და ქსდვის ცხოვართაოვის. ითა. 10—11.

გვევ ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ  
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი  
და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 8

1883—1903

30 აპრილი

## ჭირა არა არა:

სალიტერატურო განყოფილება: იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 15 დეკემბერს 1902 წ.—თანამშათა საყურადღებოდ. მღ. ს. ჭუმბურიძე.—ქართული საეკლესიო სიძველეთა შესახებ.—ღვინის ფიზიოლოგიური გავლენა ადამიანის სხეულზე. კოდრატი გაბიჩვაძე.—წერილი რედაქციისადმი. ერთი მრევლთაგანი.—ურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სრავლა და მცხოვრება ძრის სიიანობაში სარგებლებასა და პეთილ-ჯვიობაზე: სიტყვა, დეკ მარკოზ ტყემალაძისა.—მოძღვრება, სოფლის მრევლთადმი ხვნა-თესვის დაწყების წინ. მღ. სერგი მაჭარაშვილისა.—განცხადებანი.

იმპრენტის მკარძიის სამღვდელოების დეკუტატ-  
ოს პრეზა შ. შუთაიშვილ 15 დეკემბერს 1902 წ.

(გაგრძელება \*)

დიდი ბაასი გამოიწვია სამღვდელოების კრებაზე  
სანთლის ქარხნის საქმის გარჩევამ, მაგრამ, სამწუხა-  
როდ, ამ დიდ მსჯელობას ითვალისწინებულ არ გაუმ-  
ჯობესებია იგი. ეს მოხდა იმიტომ, რომ უმეტესი  
ნაწილი დეპუტატებისა როცა სანთლის ქარხანაზე

დაიწყება მსჯელობა, ხელმძღვანელობს რაღაც პი-  
რადი ანგარიშებით და „შენ. ჩემიანობით“. ისინი სრუ-  
ლებით არ ფიქრობენ საქმის დახმარებაზე, არ ფიქ-  
რობენ, რომ საზოგადო სასარგებლო საქმეს შესწი-  
რონ ყოველი პირადი ანგარიში. სამწუხაროდ, ამ  
ბოლო დროს მაინც ძლიერ შესამჩნევად ეტყობა  
ზოგიერთ დეპუტატებს ასეთი არა-სასურველი აზ-  
როვნება, ასეთი მიღვომილება და პირმოთნება.  
გიამბობთ რაც მოხდა და მკითხველი აღვილად შე-  
იტყობს საქმის გარემოებას.

\*) ის. „მწყემსი“ № 4, 1903 წ.

მკითხველებმა იციან, რომ 1901 წლის კრებაზე სამღვდელოებამ დეკ. დ. ლამბაშიძეს, დეკ. ი. ჭეიშვილს და კანკულარიის მდივანს მიანდო მოქალაპრაკათ და გამოენახათ საშუალებანი, შეედგინათ პროექტი სანთლის ქარხნის საქმის უჯრებესად დაყენებისა და წარმოებისათვის. ერთად ერთი კრება ჰქონდათ ამ არჩეულ პირებს მათი მეუფების თავს-მჯდომარეობით, რომელ კრებაზედაც მცირე გაასი იყო სანთლის ქარხნის წესდების პროექტის შესახებ. მაგრამ ამ პროექტის შესახებ მსჯელობა მაღა შეწყდა; რადგან ამ კრებაზე თითქმის ყველა ბლალო-ჩინებაც იყვნენ და მსჯელობა სულ სხვა საგანზე ჰქონდათ და არა სანთლის ქარხნის წესდების პროექტის შეცვენაზე. ამ ბლალოჩინების კრებაზე ბევრი რამ გამოირკვა ისეთი, რომელიც ხელს უშლის და აბრკოლებს სანთლის საქმის უკეთ წარმოებას. დამტკიცდა, რომ ყოველ ეკულესიაში საჭირო სანთელი არ არის ხოლმე ყოველთვის, ზოგ ეკულესიაში არის სანთელი, მაგრამ იმ ხარისხს არ არის, რომელიც ყოიდველს სურს. დამტკიცდა, რომ სტაროსტები დაუდევნელობას იჩენენ სანთლის წარმოების საქმეში. დამტკიცდა, რომ სანთლის წარმოების საქმე ეკულესიაში ყველა კრებულის წევრმა არ იცის და არც არის ჰკიოხხავენ ზოგიერთები. იღმოჩნდა აგრეთვე, რომ ზოგიერთები ყიდულობენ • საწყობიდან სანთელს და თავიანთ სასარგებლოდ ჰყიდიან. დამტკიცდა, რომ სტაროსტები სასყიდელს იღებდენ სანთლის მოტანისათვის, რომელიც კანონით არ ერგებათ. ამ კრებაზე აგრეთვე გამოირკვა ერთი უმთავრესი მიზეზი სანთლის ქარხნის საქმის დამბრკოლებელი, —უქონლობა თავისუფალი თანხისა სანთლის ცვილის სასყიდლად. იმერეთის ეპარქიაში სანთლის ცვილი შეიდას ფუთამდეა საჭირო და ამდენი ცვილის სასყიდლად თავისუფალი თანხა თუმცეტი ათასი მანეთი მაინც არის საჭირო. ბლალოჩინების კრებაზე დადგინდეს: შეიკრიბოს 5000 მანეთი ყველა ეკულესიებიდან (თითო ეკულესიდან ათი მანეთი) სანთლის ცვილის სასყიდლად; დარიბ ეკულესიებმა დაისეხონ შეძლებული ეკულესიებიდან და სამ წელიწადში ყველა ეკულესიებს დაებრუნოს კანონიერი სარგებლით ეს თითო თუმანი. სანთელი იყოს წაღებული ქარხნიდან ნახევარი წლის საქმაო იანვრის და ივლისის პირველ რიცხვებში. თითოეული ეკულესისათვის დაამზადონ ქარხანაში სანთელი

კრებულის მოთხოვნილებისამებრ, რომელსაც ბლალოჩინი წარადგენს ფულთან ერთად. სანთელი უნდა იქნეს შეხვეული და ქარხნის ბეჭდით დაბეჭდილი სათითეულოდ ყველა ეკულესიებისათვის. ეს დაბეჭდილი სანთლები ბლალოჩინმა მიიღონ და ჩაბარონს ეკულესიებს, რომლისათვის ბლალოჩინებს დანიშნოს 10%, მოგებიდან ხარჯისა და შრომისათვის.

ამ დადგენილებით სანთლის ანგარიში ცხადი იყო ყველასათვის და ყოველ ეკულესიაში იქნებოდა საჭირო სანთელი; მოისპობოდა კერძოდ სანთლის ყიდვა და გაყიდვა ზოგიერთებისაგან თავიანთ სასარგებლოდ; სანთლის ქარხანა ერთად აიღებდა 12 ათას მანეთამდე და მით ძლიერ გაუადვილდებოდა სანთლის ცვილის ყიდვა და მისი გათეთრება ზაფხულობით. მოისპობოდა ორი შაურის მიცემა სტაროსტებისათვის, რომლის მიღებაზე თითონაც არ იყვნენ თანახმანი ზოგიერთ ადგილს, რადგან ანიდან, სახელიდან და ლეჩხუმიდან წამომსვლელობა არ მისცემდა სარგებლობას ხეთი გირვანქა სანთლისათვის ჩამოსვლა ქუთაისში და ათი შაურის აღება გზის ქირალ... დანამდვილებით შეტყობილი იქნებოდა, თუ რამდენი იყიდება სანთელი თითოეულ ეკულესიაში. ბლალოჩინებიც, რასაკვირველია მეტ თვალყურს დაიჭირდენ სანთლის ყიდვა-გაყიდვაზე.

1902 წლის ივლისის პირველიდან მართლად წაიღეს ბლალოჩინებმა სანთელი თავიანთ საბლალოჩინო ეკულესიებისათვის, მაგრამ სრულებით არა იმ წესით, როგორც ბლალოჩინების კრებაზე იყო დადგენილი და არც თვითონ ქარხნის მართველებს შეეწყებით თავი, რომ ყველასათვის მიეცათ სანთელი კრების დადგენილების თანახმად შეხვეული დაბეჭდილი.

არც ერთი საქმე, რაც უნდა მშვენივრად და გონივრულად დაწყობილი იყოს იგი, არასოდეს არ მოვა სისრულეში, თუ საქმის აღმასრულებელნი არ ხელმძღვანელობენ იმ წეს-რიგით, რომელიც ცნობილი და დამტკიცებული იყო საქმის ჯეროვანად აღსრულებისათვის. ბლალოჩინების კრებისაგან დამტკიცებული წესი სანთლის მიღების შესახებ, როგორც ბლალოჩინებისაგან, ისე სანთლის ქარხნის გამგეთავანი იყო დარღვეული პირველადვე. სანთლის ქარხნის გამგე კომიტეტი იყო ვალდებული, რომ ბლალოჩინებიდან სათითეოდ ყველა ეკულესიების უწყე-

ბები მოეთხოვათ სანთლის რაოდენობაზე და ხარსხზე და თვითეული ეკკლესიისათვის ცალკე გაქვით და უთუოდ ქაღალდ შემოხვეული და ქარხნის ბეჭედ დასმული ჩაეტარებით ბლალოჩინებისათვის. ამის მაგიერ ზოგიერთმა ბლალოჩინებმა მოელი საბლალოჩინოსათვის სხვა-და-სხვა ხარისხის სანთელი წაიღის, გამართეს საწყობი თავიანთ ეკკლესიაზე და ბინაზე და წონით აძლევდენ სტაროსტებს. აქ რა ბოროტმოქმედების ჩადენა შეიძლება, თვით მკითხველიც მიხვდება. მამა ბლალ. მავარაძემ მოიყვანა ქართული ურემი და ერთბაშად, როგორც სოქვეს, არა რა ნახევარი წლის, არამედ მოელი წლის საკმაო სანთელი წაიღო. იანგარიშეთ რამდენი სანთელი გატყდებოდა გზაში, ვის უნდა წაელო ეს გატეხილი სანთლები და რამდენი სამღერავი იქნებოდა სახვევ ქაღალდზე!.. ვინც თხოულობდა თეთრ სანთელს, ყვითელს აძლევდენ. ამასთან ცოტა სანთელს იმდენი ქაღალდი ეხვევოდა, რომ ყოველი კაცი უნდღიერ მიაქცევდა ყურადღებას. ზოგიერთ ბლალოჩინებს სანთლები გზაში გატეხოდათ და ამაგმა ძლიერ ცუდი შთაბეჭილება იქნია საზოგადოდ მოელ სამღელოებაზე და განსაკუთრებით დეპუტატებზე. ამას გარდა, რადგან უანგარიშობას იყვნენ მიჩვეულნი სამღელოება და სტაროსტები სანთლის ყიდვისა და მოტანის საქმეში, სრულებით არ მოეწონათ ეს ახალი წესი და ისურვეს ისევ ძველებურად, ჩვენებურად დარჩენილიყო სანთლის წარმოების საქმე...

ამავე დროს სამღელოებას გადაეცა კანცელარიის მდინარეობისაგან შეღვენილი დროებითი კანონები სანთლის ქარხნის წარმოების შესახებ, რომელიც მას შეედგინა მათი მეუფების წინა-დადებისამებრ. სამღელოების კრებამ მოითხოვა წაკითხვა დროებითი კანონებისა. წაკითხულ იქნა ეს დროებითი კანონები თავმჯდომარისაგან თავიდან ბოლომდე. დეპუტატები კითხვის დროს ნიშნავდენ მუხლებს, რომლებზედაც თავიანთი აზრის გამოთქმა სურდათ. ბევრი მუხლები იყო შენიშნული. როცა პროექტის კითხვა დასრულდა და თავმჯდომარე შეეკითხა დეპუტატებს, თუ ვის რა სურდა ეთქვა შენიშნულ მუხლებზე, თითქმის ერთხმად მოითხოვეს დეპუტატებმა, რომ შემდეგი კითხვა დაყენებულიყო: სანთლის გატანა ქარხნიდან ძველებურად დარჩენილიყო, თუ ბლალოჩინების საშუალებით

მოეტანათ, როგორც დროებით კანონებში იყო გამოცხადებული?

თავმჯდომარე. მამან დეპუტატინო! ჩვენ წავიკითხეთ დროებითი კანონები თავიდან ბოლომდისინ და ეხლა სათითეულოდ დავიწყოთ გარჩევა. დავუვეთ თავიდან და როცა მივალო იმ მუხლზე, სადაც სანთლის გატანაზეა ლაპარაკი, აი იქ შევასწოროთ ეგ მუხლი. მე არ მესმის სხვანაირი მსჯელობა. ბევრი რამ არის სათქმელი მაგ მუხლამდისინ და რატომ არ გსურსთ, რომ დალაგებით გავარჩიოთ ყველა მუხლები?

რამდენიმე დეპუტატი. არ გვინდა სხვა კითხვა, ეს გადავწყვიტოთ და სხვა ყველა მუხლები მივიღოთ. არ შეიძლება ბლალოჩინების საშუალებით იქმნეს სანთელი მოტანილი. ისევ ძველებურად ზიდონ სტაროსტებმა თუ ორ-ორი შაური არ მიიღეს, სულ თავს დაანებებენ ეკკლესიაში სიარულს და სამსახურს...

თავმჯდომარე. მე სწორეთ გაკვირვებული ვარ თქვენი მსჯელობით. რა დავსწეროთ უურნალში? რით დავსაბუთოთ კრების დადგინდება. დადგენილება კრებისა უთუოდ უნდა იყოს რამეზე დაფუძნებული და რაზედ აფუძნებთ თქვენს დადგენილებას? რით იქნება საზარალო, რომ ყველა წევრმა კრებულისამ და სტაროსტამ ერთად მოილაპარაკონ, გადასწყვიტონ თუ რა ხარისხის სანთელი მოიტანონ, უთუოდ ნახევარი წლის საყოფა და უწყებებით, რომ ერთი პირი ამ უწყებისა სანთლის ქარხანაში ინახებოდეს და მეორე პირი ეკკლესიის შესავალ-გასავლის წიგნში იღებოდეს? ნუ თუ ამისთანა ანგარიში საზარალო საზოგადო საქმისთვის? წმინდა სანთელი მართალია ეკკლესიაში სახმარი ნივთია, მაგრამ მისი წარმოება დამოკიდებულია კომერციულ ანგარიშებზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ სანთლის ანგარიში რიგინად იყოს დაყენებული და მისი ანგარიშები ყოველთვის იბეჭდებოდეს საყოველთაო საცნობლად, მეტი შემოსავალი იქნება, ვინემ დღეს არის. ფიცხელი ანგარიში საქმეს არისოდეს არ ივნებს. განა არ შეიძლება, რომ ბლალოჩინების მაგიერ მღვდლებმა მოიტანონ იმ ანგარიშით, როგორც გა-დაწყვეტილი იყო დროებითად? თუ ძველებურად გსურთ დარჩეს საქმის წარმოება, მაშინ სხვა მუხლებზე რას იტყვით? ნახევარი წლის საჭირო სანთელი იქნება მოტანილი, თუ იმ წესით, როგორც წინეთ იყო?

რამდენიმე დეპუტატი. მამაო თავმჯდომარე! ოქვენ ერთ დროს სოჭვით, რომ კრება რასაც გადაწყვეტს, ის უნდა დასწეროს თავმჯდომარემ და რატომ არ დასწერათ კრების დადგენილებას?

თავმჯდომარე. ბრძანეთ, როგორი დადგენილება გსურთ და დიდის კიყოფილებით დავსწერთ. ვაკუხალებ ეცნავე, რომ მე ჩემს აზრზედ დავუდგები.

დეპ. არ. ბთ—ჭა. მე საკმაოდ მიმაჩნია დადგენილების დასასაბუთებლად, რომ ვსოჭვათ: როგორც გვიჩვენა გამოცდილებამ—ბლალოჩინების საშუალებით სანთლის ზიღვამ სანთლის ქარხნიდან ეკუკლესიებსა და სტაროსტებზე დასარიგებლად. ზარალის მეტი არავათარი სარგებლობა არ მოიტანა. დაბოლოს ის ფაქტი სახელმობრ, რომ მთელი ეპარქიის სამღვდელოება და ზოგიერთი ბლალოჩინებიც, როგორც ეს კრებაზე დამტკიცდა, წინააღმდეგნი არიან ბლალოჩინებისაგან სანთლის ზიღვაზე. ცადად ამტკიცებს, რომ ყველანი ამ წესის წინააღმდეგნი არიან“.

ეს აზრი თოთქმის დეპუტატების უმეტესში ნაწილში ძლიერ მოიწონა! ახლა დადგინებაზედ მიდგა საქმე. ორიოდე დეპუტატმა მიმართ კანცელიარის მდივანს, რომელიც კრებაზე იყო, დადგენილების დასაწერად; მაა შეადგინა შემჯეგი დალენილება: „სყიდვა და მოტანა წმინდა სანთლისა ეკუკლესიებისთვის, დარჩეს ძველებურად სტაროსტებისა დაშუალებით, როგორც ეს ამ მიმდინარე წლის I ივლისამდინ იყო. ქარხნის ზედამხედველის მაგიერ პოლიადის წესით იქმნეს დამზადებული სანთელი (ე. ი. სამღვდელოებამ იყიდოს სანთელი და თავის ქარხნაში შეეკრას ვისმეს, რომ მან მუშები მოიყვანოს და დამზადებოს სანთელი! იმ წესით, როგორი წესითაც მზადდებოდა ბუჭის დროს სანთელი) და რა წესითაც მზადდება დღეს და რაშიაც დროებითი კანონები სანთლის ქარხნისა არ ეთანხმებიან ამას, შესწორებულ იქმნეს, დანარჩენი კანონები მიღებულ იქმნეს“. ეს დადგენილება კიდეც ჩაიწერა უურნალში და ამ უურნალს ყველამ ხელი მოაწერა. თავმჯდომარემ თავისი აზრი წარადგინა უურნალთან ერთად.

დამსწრე.

(შემდეგი იქნება)

~~~~~

## ჩეენ მომქეთა საუკრადდებოდ.

მაცხოვრის სწავლის უმთავრესი საფუძველი, შემდეგ ლოთის სიყვარულისა, არის სიყვარული მოყვისისა და მისგან წარმომდგარი თაგმდაბლობა, სიმშვიდე. იმ პირთა ასალაგმავად, რომლებიც ყოველთვის პირველობას, თავის გამოჩენას და სხვისი პირველების დამცირებას, პირველების ცილილებენ, მაცხოვარმა ბრძანა: „რომელსა უნდეს პირველ ყოფა ოქვენ შორის, იყოს იგი ყოველთა მსახურ“. და „რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს“. მრავალი საუკუნოები გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ლვთაებრუვი მაძლვრის სიტყვები პირველად ესმა ქრისტიანებს, მაგრამ ბევრს დღემდის ვერ შეუსისხლხორცებია აზრი ამა სიტყვებისა და საქმით მაინც ხშარად მის წინააღმდეგ იქცევა. ხსენებული სიტყვების წინააღმდეგ საქციელს ვეხდავთ ჩეენ არა თუ მარტო საერო წოდებაში, სამწუხაროდ, ხშირად სამღვდელოებაშიც. მაგალითებისათვის შორს წასვლა საჭირო არ არის. შემჩნეულია, თუ ორი მღვდელი ერთ ეკუკლესიაზე მსახურებს, ერთ მათგანს თავისი თავი წინამდლვრად მიაჩნია და ამთანავი მღვდელი თავისი ხელქვეთი ჰგონია. ამათი წახედვით ბევრი უამბანაგო მღვდელიც კი იხსენიებს თავის თავს წინამდლვრად. გარდა ამისა ბევრი ამპარტაციონბს ჯილდოებით და ისეთ მღვდლებთან, რომლებსაც ჯილდო ვერ მიუღიათ, თუ გინდა დიდი ხნისა და პატიოსნად ნამსახურიც იყოს ქრისტეს ეკუკლესის, თავი უპირატესად მიაჩნია. თუ ჯილდოს პატრონი სასწავლებელში ნაყოფიც არის, მაშინ ხომ დიდი გაბედულებაც იქნება მას გვერდში უჯილდოვან და შინაურულად აღზრდილი მოძღვარი ამოუდგეს. არ მჯერა და ღმერთმა ნურც ქნას, რომ ეს სიტყვები ჯილდოებინან დასწრებული უმეტესობას შეეხებოდეს, მაგრამ რადგან ჩეენ თანამომეთა შორის უკველად საკმავლი ისეთი პირები, რომლებიც ნაკლებად აქცევენ უურადღებას ნამდვილ ადამიანურ ლირსებებს და ჩვეულებად აქვთ თანაძმათა დაჩაგვრა ჯილდოებითა და მცოდნარობით, ამიტომ დავიხმარ სასულიერო გამოცემათა და მთავრობის განკარგულებათა აზრს იმის გასაგებად: კანონიერია თუ არა სოფლის ეკუკლესის მღვდლები თავის თავს წინამდლვრებად უწო-



დებდენ და ან ჯილდოებიანი მღვდლები დაუჯილ-დოებლებთან უპირატესობდენ, თუ უკანასკნელები უფრო ადრე ნაკურთხი არიან.

წინამძღვრობა, როგორც განსაკუთრებული თანამდებობა, არის შარტო სასულიერო უწყებაში. წინამძღვარნი და საწინამძღვრონი, უმეტეს ნაწილად, არიან მონასტრები, სადაც მოსალოდნელია იყონ მონაზონობის სხვა-და-სხვა ხარისხის მექონები: არქიმანდრიტები, იგუმენები, მღვდლელ-მონაზენები და სხ. ამათში ერთს ეძლევა უფროსობა დანარჩენებზე წინამძღვრის წოდებით და ამ ერთს ემორჩილებიან ყველა დანარჩენები, რომლებთაგან შეიძლება ზოგი ხარისხით იმაზე მეტიც იყას. წინამძღვრები ინიშნებიან აგრეთვე კათედრის ტაძრებში, სადაც შტატით რამდენიმე მღვდლის ადგილია. უფროსი მღვდელი, წინამძღვარი სობოროვისა, უსათუოდ არის დეკანოზის ხარისხით, თუმცა ამავე ხარისხის შეიძლება იყონ მისი თანამცადაშასახურნიც. 1885 წლის 16 თებერვლის დღის, თანახმად 1869 წლის 16 აპრილის კანონისა, წინამძღვრები და საწინამძღვრონი იყვნენ სოფლის იმ ეკკლესიებთანაც, რომლებშიაც ერთად რამდენიმე მღვდელი მსახურებდა. ასეთი ეკკლესიების ერთ-ერთი მღვდელი იწოდებოდა კანონის ძალით წინამძღვრად და დანარჩენი მისი თანამცადაში მღვდლები კი— წინამძღვრის თანაშემწევებად. ამათ შორის არც შარტო სახელით იყო განსხვავება. შემოსავლიდანაც წინამძღვარი სამ ნაწილს დებულობდა და მისი თანაშემწევები კი ორ-ორ ნაწილს. 1885 წლის 16 თებერვლის კანონით, რომელიც ჯერ ისევ ძალაში არის, სოფ. ყველა ეკკლესიები, რომლის შემომავალნი რამდენიმე სამრევლოს შეადგენენ, თავ-თავისი კრებულებით და სამრევლოებით ცნობილ იქმნენ სრულებით დამოუკიდებლად. როდესაც ყველა საკუთარი კრებულის მექონი სოფელი დამოუკიდებელი შეიქმნა, მაშინ გაუქმდა წინამძღვრის წოდებაც და ამის შემდეგ არც ერთ სოფლის მღვდელს არა იქნეს უფლება ეს წოდება მიითვისოს, თუ გინდა ეკკლესია ორ და მეტ შტატიანიც იყოს. მართლაც და ვის უნდა გაუწიოს წინამძღვრობა სოფლის მღვდელმა, რომლის განკარგულებაში მხოლოდ ერთი მედავითნე არის? ამ სახელის დარქმევა მრევლის შესახებ, ჩემი ფიქრით, სრულებით საჭირო არ არის, რადგან ამ შემთხვევისათვის საპატიო სახელები: „მღვდელი“,

„მწყემსი“, „მოძღვარი“ და სხ. ზედგამოჭრილი არიან სოფლის მღვდლისათვის. რომ წინამძღვრობა სრულებით მოსპობილია სოფლის ეკკლესიებში, ეს იქიდანაც სხანს, რომ ხსენებული კანონის შემდეგ, სასულიერო მთავრობის არც ერთ ოფიციალურ განკარგულებაში არ იხმარება წოდება „წინამძღვარი“ შესახებ ამა ეკკლესიების მღვდლებისა. შემდეგი განკარგულებაა უწ. სინოდისა (16—24 დეკ. 1887 წ. № 2676), შესახებ შემოსავლის განაწილებისა კრებულის წევრთა შორის, წინამძღვრებათ და მათ თანაშემწევებათ მღვდლებს მაშინაც კი არ იხსენიებს, როცა ისინი ორი და სამი მსახურებენ ერთ ეკკლესიაზედ. პირიქით, ამ განკარგულების ძალითაც სოფლის ორ-სამ კრებულიანი ეკკლესიების მღვდლები სრულებით გათანასწორებული არიან ერთმანეთთან როგორც სამსახურის უფლებებით, ისე შემოსავლიდან ნაწილის მიღებითაც. მიზეზი ზოგიერთა მღვდლებისაგან წინამძღვრის სახელის უკანონოდ მითვისებისა უნდა იყონ ის უფროსი მღვდლები, რომლებიც სხვებთან ერთად მსახურებენ და, უპირატესობენ რა ლვითი-მსახურების დროს, მასთან ცდილობენ უფროსობა-უპირატესობას მთლიად საეკკლესიო და სამრევლო საქმეებშიაც. მაგრამ ძლიერ შემცდარია უპირატესობის მაძიებელი. უპირატესობა მღვდელ-მოქმედების დროსაც უნდა ეძლეოდეს მღვდელს იმის მიხედვით—ვის რამდენი ხანი უმსახურნია წმ. ეკკლესიისათვის და სახეში მისაღები არ უნდა იყოს ჯილდოები და ის გარემოება, თუ ვინ რამდენი რუსული იცის. ამას ეთანხმება საეკკლესიო უწყებებში (1896 წ. № 32) დაბეჭდილი რედაქციის პასუხიც: 1, მოსპობისა გამო წინამძღვრობისა და მისი თანაშემწის წოდებისა, იმ სამრევლოებში, სადაც ორი-სამი მღვდელი ერთად მსახურებს, უპირატესობა მათში იმას ეკუთვნის, რომელიც უფრო ადრე არის ნაკურთხი, თუ ამის შესახებ არ არის მღვდელთ-მთავრის განკარგულება; 2, გარეგანი ნიშნები (იარაღჩინი, კამილაცკა, მცერდის ჯვარი) არ შეიძლება იყონ საბუთად უპირატესობისა ღვთის-მსახურების დროს ისეთ პირებთან ერთად, რომლებიც ამ ნიშნებიანებზე ადრე არიან მღვდლად ნაკურთხი, თუ ამაზედ არ არის განკარგულება ადგილობრივი მღვდელთ-მთავრისა.

მთავრობის ასეთი განკარგულებებიც რომ არ იყოს, განა წმიდა ტრაპეზის მსახურს, მღვდელს,

მუდამ არ უნდა ახსოვდეს თავმდაბლობის მაგალითი ღვთაებრივი მოძღვრისა, რომელმაც ფერხნი დაბანა თვისთა მოწაფეთა? საქუიელი ვინმესგან თავის ნებით უპირატესობის, ან საპატიო წოდების მითვისებისა მაშინ უფრო ეჩოთირება შეგნებულ კაცს, როდესაც საფუძვლად მას უდევს არა უმეტება, არამედ ამპარტავნება, რომელიც შემარტვენელი და დამატირებელია ჯერ ყოველი კაცისათვის და ნამეტურ კი სასულიერო პირისათვის.

მღ. ს. ჭუმბურიძე.

### ქართული საეკკლესიო სიძეველეთა შესახებ.

„კავკავ“-ის მე-76 ნომერში მოხსენებულია ქართველთაოვის ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება, რომელიც ქართულ საეკკლესიო სიძეველეთა სვებედს შექებდა. ორშაბათს, 17 მარტს, კრება ჰქონია ქართლ-კახეთის ეპარქიის სასულიერო წოდების საეკკლესიო სიძეველეთ-საცავის კომიტეტსა ალავერდის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო დიმიტრის თავმჯდომარეობით. კრებაზე, სხვათა შორის, ჩამოვარდნილია ლაპარაკი სიძეველეთ-საცავის აწინდელ შენობის უვარებისობის და სიძეველეთა დასაცაველად ახალის, შესაფერის სადგომის აგების შესახებ. მაგრამ ეს საკითხი კრებას არ გადაუწყვეტია. ამასთანავე კრებამ შეიტყო, რომ განზრახულია სიძეველეთა მოთავსება ვერაზე სასულიერო სემინარის ახალს შენობაში. ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ხები; არც იმას შევქებით, თუ სიძეველეთა შესწავლის რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამშობლოს ტაძრისათვის და არც იმ გარემოებას, თურამდენად ხელსაყრელია სიძეველეთ-საცავის მოთავსება ტფილისიდან კარგა შორს მანძილზე, ქალაქს გარეშე...

ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ ორს საკითხს: ა) რამდენად სასარგებლოა ქართველ ხალხის სარწმუნოებისა და ზნეობის განვითარებისთვის მამა-პაპის სიწმინდეთა ტაძარ-მონასტრებიდამ გატანა და ტფილისში მათი მოთავსება და ბ) ვის ეკუთვნის დღეს სიძეველეთ საცავი და ვინ არის მისი კანონიერი გამგე-პატრონი?

ტფილისში სიძეველეთ-საცავი დაარსებულ იქმნა განსვენებულის მესტორიეს დიმიტრი ბაქრაძის მიერ იმ აზრით, რომ ქართველ ერის საეკკლესიო სიძეველენი დაცულ და შენახულ იქმნას უშიშრად ისეთს ადგილს, საღაც მათი ნახვა და შესწავლა ადვილად შეეძლოთ მეცნიერების მოყვარულთა... დაიწყო გადმოზიდვა სხვა-და-სხვა ძვირფას სიძეველეთა საქართველოს ტაძარ-მონასტრებთაგან ტფილისის სიძეველეთ-საცავში... გადმოზიდულ იქმნა ათასამდის ხელო-ნაწერი და ნივთი შესანახად და შესასწავლად... სიძეველეთ-საცავის კომიტეტის ერთგულებამ ხელო-ნაწერთა და ძველ ნივთთა ტფილისში ერთად თავმოყრის საქმეში უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. სიძეველეთ-საცავში შოთავსებულ იქმნა წმ. ნაწილებიანი ხატები, ჯვრები და წიგნები, რომელთაც ძვირფას განძალ სთვლის ქართველი ერი. ამ ერს დღეს თვალები მიპყრობილი აქვს ტფილისისაკენ და ელის, როდის დააბრუნებენ იქიდამ ძველს ნაწილებიანს სახარებას, ჯვარსა და ან ძველს ხატსა... აქვს თუ არა სიძეველეთ საცავის კომიტეტს, არსებულის წეს-რიგის ძალით ნება, ამდენს ხანს გააჩეროს სიძეველეთ-საცავში ასეთი შესანიშნავი, ერისთვის სათაყვანო ნივთები?!

წაიკითხეთ მეორე მუხლი სიძეველეთ-საცავის წესდებისა, რომელიც დამტკიცებულია უწმიდესის სინოდის მიერ 24 იანვარს 1889 წელს: „ძველ ნაშთებს შეადგენენ: ძველი ხელო-ნაწერები, ძველად დაბეჭდილი წიგნები და გუჯრები ანუ აქტები მონასტრებისა... ისეთი ნივთები, რომელიც ან აღარ იმარება ღვთის-მსახურებაში, ან აღნიშნულია გასაუქმებლად.“

ამ მუხლში სრულად არ არის მოხსენებული ისეთი ნივთები, რომელიც ხმარებაში არის, რომლის სახელს დღეს ხალხი ფიცულობს და ამ ხენებას მოწიწებით და მოკრძალებით, მაგალითად წმ. ხატები, ჯვრები, სახარებანი, ნაწილებით შემკული.

ეს ძველი, ძირთასი სარწმუნოების გრძნობისავის, ნივთები კომიტეტმა უსათუოდ უკან უნდა დაუბრუნოს მათ თვისის სისხლით დამცველ ერსა, რომელიც მოუთმენებულად ელის მათს ხილვას, მათს თაყვანისცემას.

წავიდა ის დრო, როდესაც საეკკლესიო სიძეველეთ გულ-გრილად უცქეროდნენ. დღეს ქართველს ერს ესმის დიდი მნიშვნელობა ამ სიძეველეთა და

ადვილად ველარ შეელევა... დღეს მათ ტაძარ-მონასტრებიდამ განძრახ ვერავინ გაიტანს, რადგან ამ ბოლო დროს უწმიდესმა სინოდმა დიდი ყურადღება მიაქცია მათს დაცვას ადგილობრივ მონასტრებსა და ტაძრებში.

ამ წლის 15 მარტის დეპეშა გვამცნებს, რომ ძველ საეკკლესიო ნაშთთა დასაცავად იქმნების მონასტრებსა და ეკკლესიებში, მოსკოვის საპატრიკარქო წიგნთ-საცავში შენახულ იქმნება ამას შემდეგ ამ მონასტრებისა და ეკკლესიების სალაროების აღწერლობათა ასლები. სიძველეთა აღწერლობის ასლები განსაკუთრებულმა კომისიებმა უნდა შეამოწმონ. იმ ნივთების გაცემა, რაც აღწერლობაში იქნება მოთავსებული, უწმიდესის სინოდის დაუკითხავად არ შეიძლება. ამ ბრძანების ძალით, თითოეული უფროსი ეპარქიისა ვალდებულია მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება მონასტრებისა და ეკკლესიების სიძველეთა დაბეჭითებით აღწერისათვის, რასაც-მოუნდება განსაკუთრებული მცოდნეთაგან შემდგარი კომისიის დაარსება. აღწერლობაში კომისია ვალდებული იქნება ჩაურის ცველა ის ძველი ნივთები, რომელიც ეკკლესიებს და მონასტრებს ეცუთვნის და, რასაკვირველია, შიგვე უნდა ჩაწერილ იქმნას ის ნივთებიცა, რომელიც დღის ტფილისის სიძველეთ-საცავში ინახება და რომელიც ამათუ იმ მონასტრებს და ეკკლესიას ეკუთვნის. იმ ღრმასთვის უსათუოდ უკანასკნელი ნივთები სიძველეთ-საცავის კომიტეტმა უნდა დააბრუნოს იმ აღგილს, საიდუმაც წამოლებულია. ამას მოითხოვს კანონი და სამართალი, ამასვე მოითხოვს თვით მათის დაცვის და სარწმუნოების ინტერესი. ყოველ მკკლესიას და მონასტრებს მთავრობისაგან მცველები ჰყავს დანიშნული მცხოვრებთა ხარჯით და ადვილად ნივთებს ვერ გაიტაცებენ. ამას გარდა, თითოეული მღვდელი და წინამძღვარი პირადად პასუხის მგებელი იქნება საზოგადოების და სცინიდისის, წინაშე საეკკლესიო სიძველეთა დაცვისათვის.

მეორე გარემოება, რომელსაც მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას, შეეხება იმ საკითხს, თუ ვინ არის დღეს პატრიკი ტფილისის საეკკლესიო სიძველეთა საცავისა. როგორც დანამდვილებით ვიცით, 1899 წლის ნოემბრის 29 საქართველოს ექსარხოსად ნამყოფმა ფლაბიანემ დამტკიცა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების რწმუნებულთა უურ-

ნალი, რომლის ძალით „მუზეუმის აწინდელი შენობა ცნობილ იქმნა სასულიერო წოდების საკუთრებად. თვით ის ნივთები, რომელიც აქ დაცულია, არ შეიძლება ვისმეს გადაეცეს ან საღმე გადაზიდულ იქმნას სასულიერო წოდების რწმუნებულთა კრების დაუკითხავად... სასულიერო წოდების რწმუნებულთა კრებამ ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხნის შემოსავლიდგან დაუნიშნა სიძველეთ-საცავს ასი თუმანი“ შესაწევრად, რომელსაც ქარხანა ყოველ წელს იძლევს. სიონის საკუთრებულო ტაძარს, რომელსაც ექვსასი თუმანი ემართა ქარხნისა, უკანასკნელმა აპატატივა და, ნაცვლად ფულისა, სიძველეთ-საცავი სამღვდელოების საკუთრება შეიქმნა ზემოხსენებულ უურნალის დამტკიცების დღიდამ. სიკველეთ-საცავს ეწოდება იმავე დღიდამ „ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების საეკკლესიო სიძველეთ საცავი“.

აქედგან ცხადად სჩანს, რომ ტფილისის საეკკლესიო სიძველეთ-საცავის კანონიერი პატრიონი ქართლ-კახეთის ეპარქიის სასულიერო წოდებაა, რომლის წარმომადგენელნი კომიტეტის სახით, ყოვლად სამღვდელო დიმიტრის თავმჯდომარეობით დღეს განაგებენ იმის საქმეებსა. უწმიდესის სინოდის ზემოდ ხსენებულ ბრძანების ძალით, მრავალი ნივთი სიძველეთ-საცავისა დაუბრუნდება ტაძრებსა და ეკკლესიებსა. სიძველეთ საცავში დარჩება ისეთი მცირე რიცხვი ნივთებისა, რომელთა დასაცავად თვით სამღვდელოებას, როგორც პატრიონს, არ გაუჭირდება შესაფერი ორიოდე თთახი ალაშენოს, ააგოს ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხნის ეზოში და იქ მოათავსოს, რადგან ამ ქარხანას საკუთარი ადგილი აქვს...

შორს, ქალაქს გარედ, მოთავსება საეკკლესიო ნივთებისა, თუნდაც არავითარი შიში არ მოელოდეს, დიღად ხელს შეუშლის მათის ნახვის და შესწავლის მსურველთა... ცველას კი, ჩვენის აზრით, ის აჯობებს, რომ საეკკლესიო ძველი ნივთები დაუბრუნდეს იმ ტაძრებს და მონასტრებს, საიდამაც არის წამოლებული და მათს ადგილობრივს დაცვას სასტუკი ყურადღება მიექცეს სასულიერო მთავრობის მიერ. ის ნივთები კი, რომელიც შეძენილ იქმნა ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხნის ყოველ წლიურ სიძველეთ-საცავისთვის შესაწევრად მიცე-

მულის ფულით,—და ასეთ ნივთთა რიცხვი მცირეა —დაცულ იქმნას განზრახულს ახალ შენობაში და ან იქვე დატოვებულ იქმნას, სადაც დღეს არი დაცული.

ძევლს სიონის საკრებულო ტაძარს, ამ მტკიცებულჯას მართლ-მადიდებლობისას, შეშვენის თავს დასცექროდეს საეკკლესიო სიძველეთ-საცავს, რომელშიაც ინახება სისხლით მორწყოლნი ნაშთი მრავალწამებულ საქრისტიანო ივერიისა \*).

„ივერია“

### ღვინის ფიზიოლოგიური გავლენა ადამიანის სხეულზე.

რა ხილიც უნდა იიღოთ, რა გინდ ჭირნახული, თუ იგი უმწიფარია, მკვახეა, მავნებელია აღა-მიანისთვის. ამ ჯგუფს უნდა მივაწეროთ ღვინოც. ახლად გამოწურული ტკბილი, თუ გინდ მაჭარი, წარმოადგენს უეჭველად უმწიფარს სასმელს; მასში არეულ დარეულია ბევრგვარი ნივთიერებანი, რომელნიც მხოლოდ შემდეგი მაღულარი ფერმენტების (ნიდანიე ფერმენტები) მეოხებით იქცევიან ზოგი სპირტიდ, ზოგი ნახშირ-მეუვედ, ზოგი სიმუვედ, ზოგიც სხვა-და-სხვა ეფირებათ და სხ. როდესაც ღვინო კარგად დაიწმინდება, გაუჩნდება თავისებური სუნი (ნიკეთები), სიმუვედ და სიმაგრე, მაშინ ითვლება იგი ღვინოთ, ერთ-ერთ საზრდო ნივთიერებათ (რაღანაც მასში იმყოფებიან აზოტიური ნივთიერებანი) სხვა მრავალთა შორის. მაღულარი მაჭარი რომ მუდმივ სვას კაცმა, ერთი რომ გაბერავს ნახშირ-

\*) დიახ, რასაც ეხლა მიხედვენ ზოგიერთი ჩვენი მწერლები და რაზედაც დღეს ლაპარაკობენ, ჩვენ ღიღისნის წინედ მივხდით და სრულებით წინააღმდეგი ვიყავით ბ-ნი დ. ბაქ-რაძისა და მისთანათა, რომელთა აზრით ყველა ჩვენი მონასტრების შესახიშნავი ისტორიული ნაშთები და სათაყანო ძვირფასი ნივთები უთუოდ ერთად შეეგროვებიათ თფილისში. ამის შესახებ ერთხელ ლაპარაკიც მოგვიხდა ბ. ბ-ესთან ბ. კონდაკოვის თანადასწრებით, როცა ერთად მივდიოდით ჭუთა-ისისაკენ ბ. კონდაკოვს მაშინ მინდობილი ჰქონდა მარტვილის და ჯუმათის ხატებიდან ძვირფასი მედალიონების მოპარვის შეტყობა ცნობილი ს. გ—ისისაგან. შემდეგ ნომერში ჩვენ ვაცნობებთ მყითხველებს, რასაც ვწერდით ამ საგნის შესახებ.

რედაქტორი.

მჟავით ( $\text{CO}_2$ ) და მეორეც ისა, რომ დაუნუკრავი და არეული ფერმენტები, ინუკრებიან კაცის გვამში და მით იწვევენ სხვა-და-სხვა ივადმყოფობას.

დამდგარ ძველ ღვინოზე კი სულ სხვა ითქმის. ჰიგიენური შეხედულობით ღვინოს დიდი ხანია სთვლიან საზრდო და მარგებელ სასმელად: იგი აცოცხლებს და ახალისებს კაცს სულიერად და ხორციელად. ექიმებიც სარგებლობენ ამნაირი ღვინის გავლენით და როგორც წამალს, ისე უწევენ თავიანთ ივადმყოფებს მის სხეულის გასამაგრებლად, და მადის მოსაგვრელად. მისი ფიზიოლოგიური მოქმედება ორგანიზმზედ (სხეული) იმაში გამოიხატება, რომ იგი—ღვინო რამდენიმედ ახერხდს ორგანიულ ნივთიერების დაწვის პროცესს ჩვენს სხეულში, სხვანაირად—იგი შველის კუჭს საჭმლის ხარშვაში. რამდენად დიდია ღვინის მნიშვნელობა კაცობრიობისათვის იმაში ვადაცვა, რომ დღეს ღვინის კეთებას აქვს მიცემული ფართო ისპარეზი (საფრანგეთი, კავკასია, ყირიმი და სხ.) და შეიქმნა ერთ მიუცილებელ საჭიროებად. საფრანგეთში ხშირად ღვინოს საღილის წინ სვამენ ძალის მოსაგვრელად, ამიტომაც ფრანგს რომ საღილის შემდეგ ღვინო შეაძლიო გეტუვის: „გმადლობთ, მე უკვე ვისადას ლე“—ო. ზომიერად მიღებულ ღვინოს არავითარი ცუდი გავლენა არა აქვს ორგანიზმზედ; ამას ვერ ვიტყვით არაყზედ, ლუდზედ, კვასზედ (ერთნაირა მჟავე სასმელია) და სხ.

ღვინო (ალკოგოლი) პირდაპირ არ შველის კუჭს, არამედ რომ დამჟავდება (ონისესია), უშვებს სითბოს და ამით ითარებს აზოტიურ და არა აზოტიურ ნივთიერების დაწვას; ამას ამტკიცებენ ფიზიოლოგიური ლიბიის, გეპპი და სხ. ზომიერად მიღებული ღვინო კუჭს აამოძრავებს, გამოადენიებს მას შევის ყარტლის შეგაეს სითხეს (ჯელები), რომლებიც შველიან კუჭს საჭმლის ხარშვაში, ნორმალურად მიჰყავს გულის პროცესი, სუნთქვა, აზროვნება და მუსკულების მოძრაობა. უზომოდ მიღებული ღვინო კი ნამდვილი საწამლავია ორგანიზმისათვის. მეტადრე თუ ღვინო მაგარია ( $14-24\%$ ) და უხემსოთ მიღებული, მაშინ კუჭს უწევს წინააღმდეგ სამსახურს. ყველა ორგანო სუსტდება და რჩება ერთხნობით უგრძნობელი. ვოლოვის და პარკეს გამოკვლეული 40 კუბიკურ სანტიმეტრზედ გადამეტებული ალკოგოლი ( $10\%$ -ანი ღვინისა) ცუდად

მოქმედობს კაცედ. მუდმივ მის ზედმეტ სმას მოს-  
დევს: კუჭის დასუსტება, მაღის დაკარგვა, მუდმივი  
წყურვილი, გულის რევა, ნერვების აშლა, ბოდვა  
და სხ. ხრონიკული ალკოგოლიზმი ბადავს შემდეგ  
სწერულებებს: გულის ძეგრას, ხელ-ფეხის თრთოლ-  
ვას, უტენობას, დაშბლას, ზნეობითი დაცემას და  
კეულილი შეშლას. ლოთი კაცი სმაში ანგარიშ-მი-  
უცემელია; ბედნიერია იგი, როდესაც ლვინოში  
იმპიდა. მთვრალი კაცის გამოსაფხიზლებლად ხმა-  
რობენ გახსნილ სოდას, ძმარ-მუვა მმმნიაქს (ყკეც-  
იკისა ან ammoniac) რამდენიმე წვეთს ერთ ჭიქა  
წყალში, გახსნილ ძმარს და სხ. ღვინის უცებ აკრ-  
ძალვაც არ ვარგა, უნდა თან-და-თანობით მოკლება  
დიდი ზომისა.

ის კითხვა, თუ რომელი სჯობია ზომიერი სმა,  
თუ სულ არა სმა. მნელი გადასწყვეტი შეიქმნა.  
ბევრი სჯაბასის შემდეგ მოჰკიდეს ხელი ისევ სა-  
შუალოს, ზომიერად სმას (დღეში  $1/2$ —1 ბოთლი  
10% ლვინისა), ამნაირი ზომა არცა სწერს და არც  
შველისო; არც წვადი დასწვეს და არც შამფური.  
ისიც დაუმატეს, რომ ნერვებ აშლილი კაცი თეთრ  
ლვინოს უნდა ერიდებოდეს, რადგანაც თავისი  
თვისებებით შლის და აუძლოურებს მათ სხეულსო.  
წითელ ლვინოებს უპირატესობა მისცეს.

ქალები და ბავშვები უფრო უნდა ერიდებო-  
დენ ბევრ ლვინოს, ვინაიდან მათი ორგანიზმი უ-  
დარებით სუსტია კაცისაზე. ტყვილა მყოფს და  
დასვენებულ კაცს, ანუ როდესაც კაცი გონებრივ  
მუშაობაშია, მეტადრე მოსწავლეებს ალკოგოლი  
სწერს; აქ იჩენ თავს უტვინობა და მეხსიერების  
დაკარგვა. მუშა კაცი და საზოგადოდ, ვინც ფიზი-  
კურად ვარჯიშობს, უშვებს ოფლა და სიობოს  
(производитъ тенету), ზომიერი ლვინის სმა არ  
აწერს—პირიქით კიდევაც შველის. საფრანგეთში  
ჯარებს, მეტადრე დიდი მოძრაობის დროს, ლვი-  
ნოს აძლევენ, როგორც გამაფხიზლებელ სასმელს.  
რესეტშიდაც არის ამის თაობაზე უმაღლეს მთავ-  
რობაში შეუძლებელობა, რომ ჯარის კაცებს არა-  
ყის მაგიერ ლვინო აძლიონ.

აი ამაში გამოიხატება მოკლედ ლვინის ფიზი-  
ოლოგიური გავლენა ორგანიზმზე პიგიენურის  
შეხედულებით. მაგრამ ჩვენში, როდესაც შეიქმნება  
ყანწების ტრიალი და მუცელებ შორის კონკურენ-  
ცია, მაშინ კი მშვიდობით ლვინის ფიზიოლოგიური

მნიშვნელობაა! „თუ არ დალევ გარე გადიო, თუ  
არ გახვალ დაგჩეხა“—ვო. რომელ ერთს გადურჩეს აქ  
კაცი—ლვინოს, თუ ხანჯალს! სამწუხაროდ, ეს სა-  
ძაგელი ძველი, ტრადიციონული ჩვეულება გადადის  
ჩვენში მამიდან შვილზე; აქ ცდილობენ, თუნდ  
ტყავშიდაც გაძვრენ, რომ ეს მამა-პაპური ჩვეულება  
არ დააგდონ და მით თავიანთ წინაპრებს სული  
უცხონონ. თვალებ გადმობრეცილი ლოთი ანგა-  
რიშს აღარ აძლევს თავის თავს; მისი მარჯვნივ და  
მარცხნივ ხანჯლის ტრიალი, თავ-განწირულად სამ-  
შობლოსათვის მებრძოლს წარმოგიდენსთ, მაგრამ,  
აფსუს ასეთო შედარებაა!

და აი, ამნაირი საზიზლარი ჩვეულებით ბილ-  
წავენ ლვინის წმიდა ისტორიულ მნიშვნელობას,  
მისს ზედაში, როდესაც ის წყეული მუცელი, სარ-  
წმუნებაზედ ხელ-ალებული, აქარწყლებს ლვინის  
კეთილ ფიზიოლოგიურ გავლენას კაცის ორგა-  
ნიზმზედ.

კოდრატი გაბიჩვაძე.

## ჭარილი რედაქციისადგი

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს მცირე წერილს  
ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ უურნალ  
„მწყემს“-ში.

ამა წლის უურნალ „მწყემსი“. ს პირველ ნო-  
მერში წავიკითხე მცირე შენიშვნა მარტვილიდან  
მოშერილი—შესახებ ეკკლესის უქონლობისა. შე,  
როგორც ერთი მრევლთაგანი მოკლებული ეკკლე-  
სისა და როგორც გულ-მტკიცნეული ამა საქმეში,  
მსურს მკითხველებს ვაცნობო უფრო ვრცლად  
ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა. მარტვილის  
სამრევლო შეაღენს თითქმის 300 კომლს, რო-  
მელსაც ყავს ორი მოძღვარი. ეს სამასი კომლი  
კაცი მოკლებულია თვისს საკუთარ ეკკლესის,  
თვის საკუთარ სამარხს, თვის მოძღვრისაგან წირვა-  
ლოცვას. მართალია, ზოგი წირვა-ლოცვას ისენს  
მარტვილის უდაბნოში და ზოგი კი ხარების მო-  
ნასტერში. ჯვარის-წერა და სხვა მდვდელ მოქმე-  
დება სრულდება მარტვილის ერთ ეკვდერში, რო-  
მელსაც ეწოდება სახელად მარტვილის მაზრის

„სობორო“, სადაც წელიწადში ერთხელაც არ სრულდება წირვა-ლოცვა. თუ ვინმე გარდაიცვალა ან აზნაური, ანუ თავ-მომწონე გლეხი, მან უკველად უკანასკნელი ქცევა მიწა უნდა გაყიდოს და საარაკო ფასად უნდა იყიდოს სამი არშინი სამარხის ხარების მონასტერში და თუ კი მოისურვა მარტვილის მონასტერში, მაშინვე უნდა შეიტანოს კარგა ბარაქიანი შეწირულება. ამნაირად, ჩვენში კაცმა ჯერ უნდა იტიროს თავის მიცვალებული და შერე კი—დიდი ხარჯი. რას აკეთებენ ამ დროს მოძღვრები? არაფერს... უფრო გაჭირვებულია ხალხი ორმეოც მარხვის განმავლობაშიდ. მონასტრებში დიდ მარხვის ლოცვებს სარულებენ ისე, როგორც უბრძანებს მათ დიდ-მარხვის მონასტრის ტიბიკონი, ხოლო ხალხი კი ვერ შეძლებს ასეთ დროს იაროს მონასტრებში; მონასტრის ლოცვაზე თვით მღვდლებსაც უძნელდებათ სიარული ეკვლესიაში. ბოლოს, როდესაც ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა, თვით სთხოვა აღგილოპრივ სასულიერო მთავრობას, გვიშველეთ, გვიწინამძღვრე და ეკვლესია იგვა-შენებიეთო, მაგრამ ზოგიერთები ნაცვლად იმისა, რომ სიხარულით მაგებებოდნენ ხალხის ასეთ კეთილ სურვილს, პირიქით გამოუცხადეს ხალხს: თუ ეკვლესიას ააშენებთ, ახალი ქანონით რკინის გალავნით უნდა შემოაკავოთ იგიო. ამნაირად ხალხი შეშინდა და უკუიქცა. მას აქეთ ხალხი ითხოვს ეკვლესის აშენებას, მაგრამ ეკვლესიაში ხომ უნდა სწირონ და წირვა... ნუ თუ ასეთ მრევლში განმტკიცდება სარწმუნოება და ღვთის სიყვარული? იმედია უმაღლესი მთავრობა მიაქცევს უკურადღებას ასეთ ჩვენ მდგომარეობას, ან აგვაშენებიებს საკუთარ ეკლესიას და ან სხვა როგორიმ გზით გამოგვიხსნის იმ უსიამოვნებისაგან, რომელშიაც ჩვენ ვარდებით ყოველ გვირგვინის კურთხევისა და ზოგიერთ სხვა მღვდელ-მოქმედების შესრულების დროს... .

ერთი მრევლთაგანი.



၁၇၆၅-၂၁၈၄၀၉၁၆.

„პრავიტ. ევსტრიქ“-ში დაბეჭდილია შემდეგი უმაღლესი რესკრიპტი ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის სახელზე: „განვიზრახეთ-რა მჭიდრო შეკავშირება ჩვენის სახელმწიფოს ნაწილისა, ჩვენ აღვნიშვეთ საშუალებანი, რომელთა შემწეობით ფინლანდია უნდა გაუერთიანდეს იმპერიის შიდა ნაწილს; მაგრამ საშუალებათა განხორციელებას თავსედათ წინააღმდეგა ფინლანდიის მცხოვრებთა ერთი ნაწილი. ბოროტ-განზრახველებმა შშვიდობიან ხალხის შესაცდენად დაარღვიეს ცხოვრების წესიერი მსვლელობა; ისინი ძალ მომრეობას კუ-კი არ მოერიცნენ იმათ წინააღმდეგ, კინც თავის მოვალეობას არ უდალატა. სხვა დროს, ჩვეულებრივ პირობებში, დარღვეულ წესიერების აღდგენა შეიძლება დამნაშავეთ სამართალში მიცემით და სხვა კანონიერის წესით. მაგრამ ახლა ეს ღონისძიებანი გამოუსადევარია, რადგან ზოგიერთი მოხელე და უმთავრესად სასამართლო დაწესებულებანი არა თუ არ იცავენ წეს-რიგს, არამედ ზშირად თითონვე აძლევენ მავნე მაგალითს კანონის დარღვევისას. მოვისურვეთ-რა ფინლანდიაში წესიერების აღდგენა და ხალხისათვის ბოროტ-განზრახველთა გავლენის აცდენა, ჩვენ კეთილად ვსცანით დროებით, საშის წლით, მივანიჭოთ ფინლანდიის დიდ სამთავროს უმაღლესს მმართველობას განსაკუთრებული უფლებანი სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ შშვიდობიანობის დასაცავად. ეს უფლებანი აღნიშნულია ჩვენ მიერ 20 მარტს (2 აპრილს) დამტკიცებულ დადგენილებაში.

გიგზავნით რა თქვენ ამ დადგენილებას აღსა-  
რულებლად, ვავალებთ ამასთანავე ფინლანდიის სე-  
ნატს რაც შეიძლება ჩქარა დაასრულოს ფინლანდი-  
ის სასამართლო წეს-წყობილებისა და დებულების  
გადასინჯვა.

ନେମଦ୍ଵୀପରୁଁ ଶିଳେ ଯୁଦ୍ଧକ୍ଷେତ୍ରରେ ନାହିଁ  
କ୍ଷେତ୍ରରେ ମହାରାଜଙ୍କଙ୍କ ବିଜୟ

ნატორის მოვალეობაა ხელმძღვანელად იყოს ყველა დაწესებულებათა და მოხელეთა; თავისი აზრი გამოსთქვას ყველა იმ თხოვნის და საქმის შესახებ, რომელნიც ხელმწიფე იმპერატორის სახელზე იგზავნება; პირადათ ან დავალებულ პირთა შემწეობით რევიზია მოახდინოს ხოლმე ყველა დაწესებულებაში; მიწვიოს ჩეკინების ჩამოსართმევად ყველა პირი და მოხელენი, ისინიც-კი, ვინც არჩეულია საზოგადოებისაგან, თუ ამას საჭიროება მოითხოვს; მას ექვემდებარება ფინლანდიის ყველა სამოქალაქო დაწესებულება და თვითმართველობის ორგანოები ქალაქად თუ სოფლად; როგორც პოლიციის უმთავრეს ხელმძღვანელს, მას ევალება ყოველგვარი ღონე იღონოს უწესოებათა ასაცდენად ან მოსასპობლად; თვალ-ყური აღევნოს საქველმოქმედო წარმოდგენების, ლატარია ალეგრების და სხვა გასართობების გამართვას, რათა შეგროვილი ფული გამოუხადებულ საგანს მოხმარდეს ხოლმე; გენერალ-გუბერნატორის მთავარ მოვალეობას შეადგენს თვალ-ყური აღევნოს პრესას; ამისათვის მას უფლება ენიჭება თავის შეხედულებით ნება დართოს ახალის გაზეთის გამოცემა, დროებით შეაჩეროს ან სულ მოსპის გაზეთის გამოცემა; ნება ეძლევა დახუროს ყოველგვარი საჯარო ბიბლიოთკა ან საზოგადო სამკითხველო და იგრეთვე სტამბები; განსაკუთრებული თვალ-ყური აღევნოს ფინლანდიის სასწავლებელთა და მათ შორის ფინლანდიის საიმპერატორო უნივერსიტეტს, გარდა ამისა, გენერალ-გუბერნატორის, თუ საგანგებო საჭიროებამ მოითხოვა, ნება აქვს, თავისი პასუხისმგებლობით, მიიღოს სხვა განსაკუთრებული ღონისძიებისაც, რომელნიც აღმატებიან მისთვის მინიჭებულ უფლებათ, მაგრამ იმ პირობით, რომ ყოველი ამგარი შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა აკნობოს მის იმპერატორებით უდიდებულესობას“.

ინსტრუქციასთან ერთად გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლით ამიერკიდან კრძალულია ფინლანდიაში, პოლიციის ნება-დაურთველად სათეატრო წარმოდგენების, კონცერტების და სხვა გასართობის მოწყობა, იგრეთვე სახლების დროშებით მორთვა და ილლიუმინაციის გამართვა. ოფიციალურ „ფინლანდიის გაზ.“ – ის სიტყვით, ეს განკარგულება გამოწვეულია იმით, რომ აგიტატორები სცდილობენ ხალხზე გავლენა იქმნიონ სხვა და სხვა გვარ დემოსტრაციების გამართვით, მაგალითად „სინათლის

დღეები“ პოეტის რუნებერგის დაბადების დღეს და „სიბნელის“ დემოსტრაციების უმაღლეს მანიფესტის (1899 წ. 3 თებერვალს) გამოცხადების დღეს.

ფინლანდიის სენატმა განკარგულება მოახდინა, ფინლანდიაში ყველა აღგილობრივმა დაწესებულებამ უსათურად იუქმოს ხოლმე საუფლო დღესასწაულები: ხელმწიფე იმპერატორის დაბადებისა. სახელწოდებისა, ტახტზე ასვლისა და გვირგვინის კურთხევის დღეები, აგრეთვე დაბადებისა და სახელწოდების დღეები მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ დედოფლებისა და ხელმწიფე მემკვიდრისა.

## ახალი აშშები და შეციტებები.

\* \* \* „ივერიაში“ გვითხულობთ შემდეგ საუკად-დება ამბავს: „შარშან შემთდეგომიზედ მ. ბენედიქტემ, ქველ ათონის ქართულ მთნასტრის წინამდგრამა, მიართვა თხვენა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზეს ალექსან-დონეს და სთხოვა, ნება მიბორი ხობის მთნასტრის ეზოში დაგაარსო შეტოვი ათონის მთნასტრისათვის, ესე იგი ავა შენთ რე-სართულიანი სახლი, რომელშიაც ხობის მთნასტრის ბერნაც იცხოვებენ და იმათან ბინა ექმნებათ, ვანც ათონიდან წარმოდგენ საქართველოშით. ეს შეტოვი იმით იქმნება კარგი, რომ ადადგენს ქველს კავშირს ათონისა და საქართველოს ბერ-მთნაზონთა შორის, რაიცა სარგებლობის შეტი არას მთიტანს და თვით მთნასტრესაც არა დაკავდებართ. აკრედიტებული გორგოთ, მცირე მაშედიაც უბორთ ამ შეტოვს ზეთის სილის ბალის გასაშენებლადათ. ეპისკოპოზე ალექსანდრე ნება დართო მ. ბენედიქტეს, ააშენს შეტოვი ათონის მთნასტრისა სთხის მთნასტრის ეზოში და, როგორც სამდგრად შე-გორგებული, შისის ეფუძნებული მდგრად სამდგრად და კურთხევით, მალე შეუდებიან თვით შენხის აგებასაც“. სწორედ მშენებულად უნებებია მათ მეუფებას, უფლება სამდგრად ალექსანდრეს, რომ სხვა ადგილზე მიუთითება ათონის შეტოვის აშენება ბენედიქტესათვის. მამა ბენედიქტები წინეთ სინთდეს სთხოვდა, რომ შევი ზღვის ბირდ ერთი გავრცელებული ხობის უდაბნო არას და ეს უდაბნო მოქეცით, რომ გავშართო, მთვარე და ათონის ქართველების უდაბნოს მივაწერთ; მე იქ წინამდგრობას

მომეცით და გარშემო რაც გადარჩულებული ხალხია, იმათ სულ მოვაქცევთ. ჩვენ გვეგონა, რომ საღმე მართლა სონის გავერნიბული უდაბნოს შავი ზღვის პირად, მაკარაშ ბოლოს დაერმუნდი, რომ სხვა სონის უდაბნო არსად უფლია. ამ თხოვნაზე მას უარი უთხრეს. მისი ასეთი თხოვნები ჩვენ მოგვაგონების ბზით გატენალი საბძლისა და ქარბუქის არა... მართლაც, რადა ამ ჩვენს თრითე მონასტრების ჩატივებია მამა ბერებიტე, რომ ისინი ათონს მიაწერონ? განა ცოტა არის გავერნიბული უდაბნოები სოხუმის ეპარქიაში და ართვინისაგენ? რატომ არ თხოვდოს ამ ადგილებში ერთ კარგ სამონასტრო ადგილს? ავერ ჭინაზე ამბობდენ, რომ ბათუმშია თხოვა ადგილი და კიდევ მაცეს „მეტოქის“ ასაგებადო, მაგრამ იქ არათერი არა გაეკითხულა რა. მონასტრის „მეტოქი“, ანუ რესტურანტი რომ ვსოდებათ, იიდვორე, უოველთვის შენდება დიდ ქალაქებში და არა დარიბ-ლატაპ მონასტრებში. განა ცოტა შეძლება აქვს მამა ბერებიტეს, რომ ერთი ამისთანა „მოდერნი“ გერ ააშენოს ბათუმში ამ თვითისში ან სოხუმში?..

\* \* „პრავიტელ. ვესტ.“ დაბეჭიდლია კიშინევში მომსდარ უწესობათა შესახებ შემდგირი: „აღდგომის შირველსა და მეორუ დღეს დიდქანდას ხალხმა, უმეტესად უზარხოშებულმა, რომელსაც შეზარდნა და ბავშვები მისდევდნენ, შესმხნევა უწესობათა მთავრინა ერთსა და იმავე დროს ქალაქის ხევა-და-სხევა ადგილის. შოთაციისა და ჯარის მასხლევებისათანავე ხალხი გაროდა და იმავებიდა. დამტერიელს და დალექტეს არა მარტო ფინვრები, არამედ მაღაზიები, დუქნები და სადგომებიც. უმთავრესად დაზარალდნენ ებრაელი, თუმცა აიგლეს სხვების სადგომებიც—შოთაციელებისა, საატაზო მოხელეებისა და სხვებისა. ჩამტერიეს ფანჯრები საგუბერნიო გამგების სტამბისა, სამსედრო საკრებულოსა, საზოგადოებრივ საკრებულოსა და გაზეთ ბერებიც“—ის სტამბისა. ბანებებს, საკრედიტო საზოგადოებას, ფრესკას, წყლის მიღს და სხვა დაწესებულებებს შოთაცია და ჯარი მიუენეს სადარაჯოდ, ამიტომ შოთაცია ძალის შესტრდა და ქალაქის ქეჩებში გაფანტულ ხალხს გერ აუგია. საზოგადოდ საშინელი სურათი წარმოუდგა თვალწინ კაცი: უელავერი მინვრეულ-მონგრეული იურ. უელაზე მეტად დარიბი დაზარალდნენ. ზარალი, უთუთდ, ძალის დიღია. ბევრი უსახლ-კარდ და ულუქმა-ცუროდ დაჩხა. უწესებაში უსხვერწლოდ არ ჩაიარა. მოკლეული და ჭრილობისაგან გარდაცვლილი აღმოჩნდა 30 კაცი. მძიმედ დაჭრა 60 კაცამდე. მესამე დღეს უწესობათი არ განა-

ხდებულა. გამოძიებას კიშინევის უკელა გამომძიებული შეუდგა. უკელა თავის ნაწილში მომსდარ უწესობას ამბავს იძიებს“.

\* \* უმთავრესმა სამხედრო სასამართლოში შეტერბულში დამტერია გავგასის სამხედრო სასამართლოს განაჩენი იმ მაღავანთა შესახებ, რომელთაც ამას წინა ამიერ კავკასიის რეინის გზის ვაგონში მოჰქმდეს კანტრილიური გედეგანიშვილი და კონდუქტორი სტურუა, იმ ცვლილებით, რომ მესამე დამნაშავესაც მიუსაჯა ჩამოხრიდა კატრიკგაში გაგზავნის მაგიერ.

\* \* დიდი ხანი არ არის, რაც რამდენიმე რესის დებატებში განაზონებს სოფელ მაშვიდში (ავჭალიდან სულ შვიდი გერის მანძილზეა ჩრდილოეთი) დედათა სავანის და სოხება. აქ იურ ჩინებულად შენახული ძველი ეპელებისა წმიდის გაორგის სახელობაზე. ეს ეპელების გადასტოული და 1892 წელში სულ 25 დებმა მოიუარეს თავი. ბოლოს ეს სავანე მიაწერეს ბოლის მონასტრზე, მაგრამ დების რიცხვი შემცირდა ისე, რომ ერთის მეტა აღარ დარჩნია; დღეს ისევ გროვდებან, რადგან მართებლობამ თხომოც დესიატის მიწა მიუზომა ამ სავანეს. რამდენი ხანა ასებობას მათხოვის დედათა სავანე და ერთი გოვა მიწაც კი არა აქეს მიცემული, რასაც თვითონ არ შეცადინობენ ცოტა ადგილის შექნის...

\* \* ჩვენ მავიღეთ შატარა წიგნაგი—«სიმღერა» აქავი წერეთლისა, გამოცემული სისიკო შერგებალაძისაგან. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, 96 გვერდია და დირს სამი შეური.

\* \* საქართველოს ექსარხოსმა 17 აპრილს დაათვალიერა ბათუმში ეპელებისა, სკოლები და სხვა-და-სხვა დაწესებულებანი; ბრძანდებოდა აგრეთვე სტატებრიგონისთა ეპელებისაშიაც და იმავე დღეს, საშუალებების 2 საათზედ, წაბრძანდა ახალ ათონს.

\* \* საქართველოს ექსარხოს ბათუმში უოთნის დროს დაუთვალიერებია ამ ქალაქის გარემონი და გამოცემებისა, რომ სასურველია აქ სადმე გამამართოს დედათა მონასტრით.

\* \* ტევილისის საბადოსნო სკოლაში გაიმართება უშტერის მოვლის კურსები. კურსებზედ შეუძლიან არსებ უკელას, გისაც კი ჭერის შეწავლა ამ სამურნეო დარგის სელიბისა.



## სწორი და მეტნიერება ქრისტიანობის სარჩმანებასა და კეთილგანვითარება.

ს ი ტ ყ ვ ა

გიყვარდეთ მტერნი თქვენი და აკურ-  
თხევდით მწყევართა თქვენთა და კეთილს  
უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ულო-  
ცევდით მათ, რომელი გმძლავრობდენ  
თქვენ (მათ. ۵, ۴۴).

მაცხოვარი გვიბრძანებს: „გიყვარდეთ მტერნი თქვენი“-ო. როგორ ფიქრობ ძმაო ჩემო საყვა-  
რელო: შეგვიძლია იყისრულოთ ეს მცნება, შეგ-  
ვიძლია იმოდენიდ ავმაღლდეთ და დავახწიოთ თავი  
ამ ქვეყნიურ ბიწიერ ცხოვრებას, რომ მტერი ჩვენი შევიყვაროთ? მერე ჩვენ დროს, როდესაც ასეთი  
გაუტანლობაა, როდესაც ყოველი კაცი ცდილობს  
სხვას გზაზე გადაელობოს და ყოველნაირი ხერხი  
იხმაროს, რომ ლუკმა პური წაართვას, წყარო  
ცხოვრებისა დაუშრიტოს, სარჩო-საბადებელზე ხელი  
აალებინოს; ახლა, როდესაც მტერი კი არა, ნათე-  
სავიც აღარ მიაჩნიათ, აღარ უყვარსთ, ძმა ძმის მტერია. განა დრო არის ვინმემ კაცს ამნაირი  
მცნების ასრულება სავალდებულოდ გაუხადოს? მე  
მეგობარი ვერ მიმიკარებია, მიგუებია, შენ კი მე-  
უბნები: „მტერი შევიყვარეო“, მოდი და ნუ გაი-  
ცინებ! გასაცინარი და გასაოცარი აქ არა არის  
რა, ძმაო ჩემო საყვარელო. თუ როდისმე საჭირო  
იყო მაცხოვრის ზემომოყვანილი სიტყვების გაგო-  
ნება, მით უმეტესად ჩვენს ზნე-დაცემულ დროს  
აქვთ მათ მნიშვნელობა. თუ ყველანი არა, ზოგა-  
ერთი ჩვენგანნი მაინც გაიგონებენ რა ამნაირ  
დარიგებას, ჩაუფიქრდებიან თავიანთ თავს და მიხვ-  
დებიან, თუ რამოდენიდ დაჭვეითებულან, დაცე-

მულან. „მაცხოვარი გვიბრძანებს: მტერი შეიყვა-  
რეთ და ჩვენ კი მეგობარიც ვერ შეგვიყვარებიან“, იტყვიან ისინი და სინანულში ჩავარდებიან. და  
თუ იმდენად ვერ ამაღლდებიან, რომ მტერი შეი-  
ყვარონ, ეცდებიან მეგობარი მაინც დააფასონ, სა-  
მაგიერო გადუხალონ და ესეც დიდია ჩვენს უმა-  
ღურ წუთისოფელში.

მაგრამ, ნუ თუ მართლა შეუძლებელია მტრის  
შეყვარება? ნუ თუ მართლა მაცხოვარმა მოგვცა  
ისეთი მცნება, რომლის ასრულება ყოვლად შეუძ-  
ლებელია? გვითხრა, ასე უნდა მოიქცეოთ და ამი-  
სათვის ძალ-ლონე კი არ მოგვცა? არა მგონია რო-  
ცა გვიბრძანებს, შესაძლოც უნდა იყოს ჩვენთვის.  
მართალია, ძნელია, ძლიერ ძნელია ამ მცნების  
სავსებით ასრულება, მაგრამ სრულებით შეუძლე-  
ბელი კი არ არის. საღმრთო წერილში არა ერთს  
და ორს დარიგებას შეხვდებით მაცხოვრისას, რო-  
მელთა ასრულება უფრო საძნელოა ჩვენთვის, მაგ-  
რამ აქედგან არ შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიყ-  
ვანოთ, რომ ისინი ცხოვრებაში გამოუსადეგარნი  
იყვნენ. მაგ. იქსო ქრისტე გვეუბნება: „იყავით  
თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ  
არს“-ო. განა ამ მცნების სავსებით ასრულება ჩვენ-  
თვის შესაძლოა? სრულებითაც არა. მაგრამ იმასაც  
ვერ ვიტვით, რომ ამნაირი დარიგება უმნიშვნე-  
ლო იყოს. უფალი ჩვენი თავის დარიგებაში გვიჩ-  
ვენებს ჩვენ იდეალს, რომელსაც ჩვენ მუდმივ უნდა  
ველტოდეთ. და თუ სავსებით ვერ მივახწევთ, უნდა  
ვეცალოთ ცოტათი მაინც მიუახლოვდეთ.

საჭიროა ძმაო ჩემო საყვარელო, ვიცოდეთ,  
რომ მტერი მტრისაგან გაიოჩევა; მტერიც არის  
და მტერიც; არის მტერი, რომელსაც პირადად  
შენ კი არ სძულხარ, არამედ შენი ცუდი ქცევა-  
მოქმედება არ მოსწონს და ყოველთვის მზად არის  
საჯაროდ გაკიცხოს. ამნაირი მტერი ღირსია პატი-  
ვისცემისა და სიყვარულისა. კაცი ისეთი ქმნილე-  
ბა, თუ არ ეშინა, თუ არ ფიქრობს ვინმე დამ-  
ძრახავსო, ქვეყანაზე თავს მომჭრისო, არ ეცდება  
მოიქცეს, როგორც რიგია. თავმოყვარეობა, სურ-  
ვილი, არავინ დაგვცინოს, მასხარად აგვიგდოს,  
გვაიძულებს ჩვენ, უჩირქოდ ვატაროთ ჩვენი სახე-  
ლი. ჩვენში იტყვიან: „კაცი უმტროდ არ ვარგაო“,  
მტერი კაცს აღვიძებს, აფხიზლებს, ნებას არ აძ-  
ლევს, რასაც მოინდომებს აისრულოს; იცის, რომ

უკველივე მისი ნაბიჯი, როცა იქნება აიშონება, ასე თუ ისე დაფასდება მის მტრისაგან. განა ცოტა სარგებლობა მოაქვს ამით მტერს? განა მეგობარი გაუწევს კაცს ასეთ სამსახურს, მოუტანს ასეთ სარგებლობას? უნაკლულო კაცს თავის დღეში ვერ იპოვით, მაგრამ უკველა კი ვერ ატყობს თავის თავს, ვერ ამჩნევს, თუ რა ნაკლულევანება აქვს; ხშირად ზოგიერთს ნაკლულევანება ღირსებათაც მიაჩნია. ვინ აგიხელს თვალებს, ვინ დაგანახებს, რაც რომ აუგი გაქვს, თუ არა მტერი? მეგობარი ყოველთვის გერიდება და ცდილობს არ გაწყენის. ტუშილა კი არ უთქვას ერთ ბერძენთ ფილოსოფოსს: „უსარგებლეს არს შენდა მტერი, ვიდრე მეგობარი, მით რომელ მეგობარი მხოლოდ გაქებს და არ გიჩვენებს ნაკლულევანებათა შენთა, ხოლო მტერი აღმოგიჩნეს ნაკლთა შენთა, გამხილებს და აღგადგნს შენ“. ხშირად რომ ამნაირი მტერი ღირსია პატივისცემისა და სიყვარულისა.

საუბედუროდ, არის ისეთი მტერიც, რომელსაც პირადად სხულხარ, სხულს შენი სახე, შენი ლაპარაკი, მიხრა-მოხრა, ტანისამოსიც კი და ყოველ ჟამს შზად არის ამ წუთისოფელს გამოგასალმოს. შენი ცუდი მოქმედება, ყოფა-ცხოვრება მას, როგორც ბოროტს, ახარებს, კარგი კი გულს უკლიავს. როგორ უნდა მოეცყო ამნაირ მოძულება, რითი უნდა გამოიჩინო მის შესახებ კაცთ-მოყვარეობა? „აკურთხევდით მწყევართა თქვენთა, ულოცვედით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქვენ და გდევნიდენ თქვენ“, გვიბრძანებს მაცხოვარი. ლოცვას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სხვა დროს, ისე ამ შემთხვევაში. ჩვენ მუდმივ უნდა ვევედრებოდეთ ღმერთს, რომ მოძულენი ჩვენნი მოაქციოს, ჭრარიტ გზაზე დააყენოს, მძულვარების მაგიერ, სიყვარული ჩაუნერგოს მათ მოყვესისადმი; და თუ ჩვენ გულს-მოდგინედ, გულშრფელად ვსოხვთ ყოვლად სახიერს, უსათუოდ შეიწყნარებს ჩვენს ხვეწნას. უკეთესი სამსახური რაღა უნდა იქნეს ჩვენი მხრივ, რომ ჩვენი მეოხებით მტერი ჩვენი კაცად იქცეს და სამუდამოდ არ დარჩეს მხეცად, ნაღირად. ასე მოიქცნენ წმ. მოწამენი, მაგ. სტეფანე მთავარ-დიაკონი, აბრამი, იპატი განგრელი და სხ. და მით წაბაძეს მაცხოვარს, რომელიც, როცა გამსჯვალული იყო ჯვარზე და მტრები დასკინოდნენ, მამა ღმერთს ევედრებოდა, ეპატივებია

მათთვის დანაშაულობა. რამოდენი მოიქცნენ და იწამეს იქსო ქრისტე ამ წმებულთა ლოცვითა და მეოხებითა. გარდა ამისა, საჭიროა ყოველთვის ცხოვრებაში შენს მოძულესთან ისეთი განწყობილება, დამოკიდებულება იქონიო, როგორსაც გვირჩევს პავლე მოციქული. „ჰშიოდეს თუ მტერსა შენსა, პური ეც მას და ჰსწყუროდეს თუ, ასუ მას; ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ ჰსძლე კეთოლითა მით ბოროტსა მას“. ამნაირი ქცევით შენ სარგებლობას მოუტან, „კეთოლს უყოფ“ როგორც შენ მტერს, ისე შენ თავს: დასძლევ მას, ანუ, როგორც ამბობს მოციქული, „ნაკვერცხალსა ცეცხლისასა შეჰკრიბავ თავსა მისსა“. როგორც რომ ქვა ცეცხლისაგან თანდათან რბილდება და ფშენილად იქცევა, ისე მტრის გული თანდათან მორბილდება, გადაკეთდება, როცა შენ მას მუდმივ კარგად მოეცყორბი. როგორც საქმით, ისე სიტყვით უნდა ეცალო შენზე ამხედრებული დააცხრო, დაამშვიდო. საღმრთო წერილში არის ნათქვამი: „სიტყვის გება მდაბალი მოაქცეს გულისწყრომასა და სიტყვამან ფიცხელმან აღმართოს რისხვა“. ტკბილ სიტყვას, ნამეტურ ბოდიშის მოხდას შენზე უსამართლოდ ამხელრებულ, გაბრაზებულ კაცის წინაშე, დიდი გავლენა აქვს. ერთხელ წმ. ანტონმა (ზალონელმა) დაუწყო საუბარი სარწმუნოების შესახებ ერთ აზნაურს, რომელმაც ისეთი თავხედობა გამოიჩინა, ისე გაბრაზდა, რომ მღვდელ-მთავარს ლოკაში გაარტყა. წმ. ანტონი დავარდა ამ კაცის წინ, დაუჩიქა და ბოდიში მოითხოვა, რომ გააბრაზა და მოთმინებიდან გამოიყანა. მღვდელ-მთავრის ამნაირმა ქცევი ისე მოხიბლა, ისე მოარბილა ეს გაცეცხლებული ურწმუნო კაცი, რომ იძულებული შეიქნა თვითონაც მუხლი მოეყარა წმიდანის წინაშე, შენდობა მოეთხოვა და ამასთანავე თვისი შეხელულება სარწმუნოებაზე სრულებით გამოეცვალა. აი რა კეთილი საქმე უყო, რა სიკეთე გაუწია წმ. ანტონმა თავის შეურაცხმყოფელს, როცა მაცხოვრის დარიგებისამებრ, მას „მეორე ლოკაციუმშვირი გასარტყმელად“. თუ ვინიცობაა, ძმით ჩემო საყვარელო იმოდენი გულ-კეთილობა არ გაქვს, რომ „ვერ შეიბრალებ კაცსა შენზედ შურით მწლომსა, ვერც საქმით და ვერც სიტყვით კეთილს ფარათ ვერ უფარავ შენვეს ბოროტის მდომსა, მაღლის წყაროს ვერ ასმევ ცოდვის გუ-



ბეში მდგომასა”, თავი მაინც შეიკავე, სულ ნუ გასცემ მას ხმასა, ნურც ავს ეტყვი და ნურც კარგს შენს მეტოქეს; მოიქეცი ისე, როგორც ესაია წინასწარმეტყველი გვარიგებს: „შევეღ საუჩჯეთა შენთა, დახშენ კარნი შენნი, ვიდრემდის წარხდეს რისხევა“. ამნაირი ქცევა არამც თუ შენს მტერს მოუტანს დიდ სარგებლობას, დააკებს მას, არა-მედ, როგორც წინათაც მითქვამს, თვითონ შენთვისაც არის მეტად კარგი და სანატრელი. თუ ესეც არ შეგიძლია, მმათ ჩემო საყვარელო, თუ სიბოროოტე აღემატება შენში და სძლებს კეთილ მიღრეკილებას და ნაცვლად „სამუოც და თ შვიდ გზის“ მიტევებისა, ყოველ ჟამს მზად ხარ სამაგი-ერო გადუხადო ყოველ შენს ავტომასა, მაგრამ ნუ აქარდები, მოიქეცი ისე, როგორც იქცევიან მართლ-მსაჯულები; სხვის სიტყვას, დასმენას ნუ აყვები, შენ თვითონ გულ-დასმით გამოიძიე, დარ-წმუნდი, ვინ არის შენი ნამდვილი მტერი (სხვი-საგან არის გაბრიყვებული. მოტყუებული, წაქეზე-ბული, თუ თვისი ჭკუით მუშაობს) და მერმე გა-ექლავე მას. ჯერ სამართლიანადაც რომ დასაჯო შენი მოძულე, ღმერთი არ მოგიწონებს, სამაგიე-როდ არც შენ „მოგიტევებს შეცოდებათა შენთა“ (მათ. 18, 35). და რა იქნება, როგორი სასჯელი მოგელის, როდესაც უსამართლოდ უდანაშაულო კაცს ცილს დასწამებ, მიაღები და თავ-პირს და-ამტვრევ! ამინ.

წინამდგრადი დეკ. მ. ტუმადაქე.

### მ ღ ძ ღ რ მ ბ ა,

სთუდის მრევლთადმი ხენა-თესვის დაწევების წინ.

ყოველმა ადამიანშა, ქმანო ქრისტიანენო, თი-თოეული თვისი საქმე უნდა დაიშეის ლოცვითა და ღვთის ვედრებითა, უკეთუ სურს, რომ ღმერთმა მისი საქმე იკურთხოს და წარმატებით დააგვირგვინოს იგი. უქმად ჩაივლის ის შრომა, რომელშიაც მადლი ღვთისა არ გაერევა. „არა თუმცა უფალმან ალაშენა სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი“ (ფსალ. რკვ, ა), მმბობს წმიდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი. თქვენგანაც ხშირად გამი-გონია, ქმანო, რომ „ულმრთოდ ადამიანი ვერც ერთ საქმეს ვერ გააკეთებსო“, მაგრამ მიუხედავად ამისა

მე მაკვირვებს და მასთან მაწუხებს ერთი თქვენი ჩვეულება, რომელიც ზემო მოყვანილთ საღმრთო წერილის, სიტყვებსაც ეწინაღმდეგება. და თქვენს აზრისაც. ეს ჩვეულება არის შემდეგი: თქვენ ისე გა-დიხართ გაზაფხულზე მინდვრებში სამუშაოდ, რომ პირველად ღვთისაგან ლოცვა-კურთხევას არ გამო-ითხოვთ ხოლმე. ცუდი ჩვეულება არის ეს. ხენა-თესვა და სიერთოდ თქვენი შრომა აღვილი საქმე არ არის; დიდი ღანიშვნულება აქვს მას, თქვენი ნაშრომისაგან ელის წმიდა ეკლესია გამშევებას, ქარივი, ობოლი და გაჭირვებული ნუგუშსა და შემ-წეობას. ყანის მოსავალმა უნდა გამოგვებოს წლის განმავლობაში თქვენ და თქვენი ოჯახი, მანვე უნდა დააკმაყოფილოს სხვა-და-სხვა თქვენი გაღასახადი და მოთხოვნილებანი. ღმერთმა დაგიფაროთ, მაგრამ ყა-ნების ცუდი მოსავალი რომ იქმნეს ყოველი მხრით დასჯილნი შეიქმნებით თქვენ; ამისათვის საჭიროა, რომ თქვენს მრავალ-მნიშვნელოვან შრომაში ღვთის მადლი და წყალობა გაერიოს, საჭიროა გაზაფხულ-ზე ისე შეუღეთ ხენა-თესვის, რომ პირველად ღვთისაგან ლოცვა-კურთხევა გამოითხოვთ, მით უფრო, რომ თქვენ მხოლოდ ხნავთ და სთესთ და-ნაშთენი კი, ესე იგი ყანების გამარჯვება, მათი ნაყოფიერი მოსავალი დამოკიდებულია ღმერთზედ. კარგად იცით რამდენი გაჭირვება მოელის თქვენს ყანებს გვალვისაგან, ზედმეტი წვიმებისაგან, სეტ-ყვისაგან, ქარისაგან, მავნებელი მწერისაგან. ვინ უნდა დაიფაროს იგინი ყველა ზემომოყვანილთა და სხვა ცუდთა შემთხვევათაგან?—ღმერთმა და მისმა აღურაცხელმა მოწყალებამ. კარგად იცით აგრეთვე, რამდენი გაჭირვება მოგელისთ თქვენც მუშაობის დროს თუ ავადმყოფობით, ან რამე უყცარი ცუდი შემთხვევით და გაჭირვებით. ვინ უნდა დაგიფაროსთ თქვენც ამ დროს? ღმერთმა და მისმა აღურაცხელმა კაცო-მოყვარებამ. წმიდა ეკლესიამ კარგად იცის ყოველივე ეს და მისათვის თავისი დედობრივის ნუ-გუშსა და წყალობას არ გვაკლებს ჩენ. მას აქვს შედგენილი ლოცვა თესლის კურთხევისათვის, რო-მელშიაც ღმერთს სთხოვს, რომ მან აკურთხოს მთეს-ვარი და თესლიც, „განაშოროს მისაგან (თესლისა-გან), ყოველი მავნებელი ქვეშარმავალი შემქამელი ნაყოფისა ქვეყნიერისა, და ყოველივე სასჯელი რო-მელნი მოიწევიან ჩვენზედა სამართლოდ ცოდვათა ჩვენთათვის“... (ლოცვა თესლის ზედა). ამ ლოც-



ვასთან შეერთება აგრეთვე მოხვარის და ოქსლის ნაკურთხი წყლით მოსხურება. ძველს დროში მართლ-მადიდებელი ქრისტიანენი მარადის სარგებლობდნენ წმიდა ეკკლესიის ამა დადგენილებით. მოახლოვდე-ბოდა თუ არა მუშაობის დრო, მუშა ხალხი დიდი სიხარულით და სასოებით მიღიოდა ეკკლესიაში, თან მიჰქონდა თესლი საკურთხებლად, ლოცვისა და ღვთის ვედრების შემდეგ მოძლვარი მოხვარი და თესლი ნაკურთხი წყლით ასხურებდა, რის შემდეგ ხალხი მინდვრებში გადიოდა და მუშაობას იწყებდა. მშვენიერი ჩვეულებაც ჰქონდათ და ღმერთიც აჯილ-დოებდა მათ შრომას ნაყოფიერი მოსავალით.

ნუ დავივიწყებთ ძმანო, წინაპრების წმიდა ჩვეულებას. აგერ მუშაობის დრომ მოატანა, ნუ დაიზარებთ, ეკკლესიაში შეიკრიბეთ, თესლიც მოიტა-ნეთ საკურთხებლად, ღმერთს შეევედრეთ გულ-მხურვალედ, რომ მან აკურთხოს თქვენი შრომა, მეც თქვენი სულიერი მოძლვარი მზათა ვარ, თანახ-მად წმიდა ეკკლესიის დადგენილებისა, ლოცვა-კურთხევა გამოვითხოვთ ღვთისაგან თქვენთვის, თქვენ შეირ წინაშე ღვთისა წარმოდგენილი თესლისათვის და თქვენი ყანებისათვის, შემდეგ მინდვრებში გაემ-გზავრეთ და მუშაობას შეუდექით. დარწმუნებული იყავით, რომ მაშინ ღმერთი უფრო შეგეწევათ, თქვენ ყანებსაც უფრო დაიფარავს ყოველი მავნებელი სენისაგან და გაჭირვებისაგან და თქვენც უფრო გა-გახარებთ მათი ნაყოფიერი მოსავალით და მასთანა-ვე მშვიდობით და კეთილ-დღეობით ამ ქვეყანაზედ, ხოლო კეთილი და ქრისტიანული ცხოვრებისათვის მომავალს ცხოვრებაშიაც საუკუნო ნეტარებას არ მოგაკლებსთ. ამინ.

მღ. სერგი მაჭარაშვილი.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე გ ა.

**უპირილაში** გალობის მასწავლებელი სერგეი ჯინჭველაშვილი ასწავლის ქართული საეკლესიო და სიერთ გალობას ნოტების სამუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბ ი ნ ა: ბესარიონ მოდებაძის ხახლი— ხაზინის შირდაპირ.

ამით გაუწევებ ნატივცემულ საერთ და ხამ-დგელო წოდებას, რომ მე გავხეხი დაბა-შვირილაში სადურგლო კანკელის და იკო-ნოსტანების დასამზადებლად. კანკელებს, ცალ-კე სამეუფეთ კარებსაც ვიღებთ ძლიერ იაფად. იმედი გვაქს, რომ ნატივცემული საზოგადოება და სამდვრელოება ჩვენი ჩაკეთებით არ დარ-ჩება უკმაყოფილო.

იქნოსტანების მეთებელი ტ. ჯაშარიანი.

## ქლიასში

ს. მ. ბ. ალიასერიას

### ს ა ს პ ა დ მ ა უ რ ც რ უ ბ,

რომელიც იმეოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ლლენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია მინაგან, ნერიებისა, სახი-ლურგო, ღეღათა და თვალით ავადმეოფთა-ვის, მმობიარეთა განვითარებით და ქიმიუ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა გაბინეტით. გადამდების ხენითა და სულით ავადმეოფთ სამკურნალო არ ღიასლობს.

7.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაშიძე.  
Дозволено цензурою Архимандритъ Георгий 28 апреля 1903 г.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.  
28 апреля 1903 г.

Типог. редакції журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.